N 2/ 021219/2

კონტრაქტი #: NUC1Y191661A00

ერთი კომპლექტი MB1215HS საავტომობილო სტაციონალური რენტგენის სკანერის ტექნიკური მომსახურების კონტრაქტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურსა

GEORGIA REVENUE SERVICE

და

„NUCTECH COMPANY LIMITED"-ს

NUCTECH

შორის

02 დეკემბერი 2019

შინაარსი

1. განმარტებები....3
2. კონტრაქტის მასშტაბი და მოქმედების ვადა....5
3. კონტრაქტის პირობები....5
4. მხარეების ვალდებულებები....6
5. კონტრაქტის ღირებულება....7
6. გადახდა....7
7. ტექნიკური მომსახურების სტანდარტი....7
8. ინფორმაციის გამჟღავნება, საიდუმლოება და უსაფრთხოება....7
9. ქვეკონტრაქტორები....8
10. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები....8
11. კონტრაქტის დარღვევა....9
12. ფორს-მაჟორი....9
13. უარყოფა და პასუხისმგებლობების შეზღუდვა....9
14. ენა....11
15. დავების გადაწყვეტა....10
16. გაუმართაობები....10
17. ტექნიკური მომსახურების დრო და მონიტორინგი....11
სქემა A – კონტრაქტის მასშტაბი....12
1. შესავალი 14
2. ტექნიკური მომსახურება....12
2.1 პრევენციული ტექნიკური მომსახურება....12
2.2 მაკორექტირებელი ტექნიკური მომსახურება....15
სქემა B – კონტრაქტის ღირებულება და გადახდა....13
1. გადახდის ვალუტა....13
2. კონტრაქტის ღირებულება....13
3. გადახდის ვადები....16
4. კონტრაქტორის საბანკო ანგარიში....14
დანართი 1 – პრევენციული ტექნიკური მომსახურების მონახაზი....15
დანართი 2 – ტექნიკური ანგარიშის ფორმები....15

ეს კონტრაქტი შესრულებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის 11 ნოემბრის N4423 განკარგულების და SMP190004200 თანხმობის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - შემოსავლების სამსახური, რომლის მისამართია: გორგასლის ქუჩა 16, თბილისი 0114, საქართველო (შემდგომში მოხსენებული, როგორც „შემსყიდველი“), რომელიც, როდესაც კონტექსტი ამის საშუალებას იძლევა, გულისხმობს და მოიცავს მის სამართალმემკვიდრეებს, ადმინისტრატორებს და უფლებამემკვიდრეებს, ერთი მხრივ,

და

NUCTECH COMPANY LIMITED, ჩინეთი, რომლის რეგისტრირებული ოფისიც მდებარეობს მისამართზე: 2/F, ბლოკი A, Tongfang შენობა, Shuangqinglu, ჰაიდიანის რაიონი, პეკინი 100084, ჩინეთი (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კონტრაქტორი“ ან „NUCTECH“), რომელიც, სადაც კონტექსტი ამას მოითხოვს ან ამის საშუალებას იძლევა, გულისხმობს და მოიცავს მის სამართალმემკვიდრეებს, უფლებამემკვიდრეებს, აღმასრულებლებს და ადმინისტრატორებს, მეორე მხრივ;

რადგან შემსყიდველი თანახმაა, რომ შეისყიდოს და კონტრაქტორი თანახმაა, რომ უზრუნველყოს კონკრეტული ტექნიკური მომსახურება (50610000 - უსაფრთხოების მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) და სათადარიგო ნაწილები პროდუქტებისათვის ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. განმარტებები

1.1 თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ამ კონტრაქტში:

„შემსყიდველი“, როდესაც კონტექსტი მოითხოვს, მოიცავს მის ოფიციალურ პირს, დირექტორს, მენჯერს, თანამშრომელს, წარმომადგენელს, უფლებამოსილ პირს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც სამართლებრივად უფლებამოსილია იმოქმედოს მისი სახელით;

„**კონტრაქტორი**“, როდესაც კონტექსტი მოითხოვს, მოიცავს მის თანამშრომელს, წარმომადგნელს, უფლებამოსილ პირს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც სამართლებრივად უფლებამოსილია იმოქმედოს მისი სახელით, ანდა კონტრაქტორის ქვეკონტრაქტორს;

„კონტრაქტის ღირებულება“ ნიშნავს ამ კონტრაქტის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ღირებულებას;

„კონფიდენციალური ინფორმაცია“ ნებისმიერ მხარესთან დაკავშირებით ნიშნავს ნებისმიერი ფორმის ნებისმიერ და ყველა ინფორმაციას, მათ შორის და არა მხოლოდ, კომერციული, სამრეწველო, ფინანსური,

REVENUE SERVICE Digitally signed by REVENUE SERVICE Date: 2019.12.03 18:44:06 +04'00'

ტექნიკური, საოპერაციო, მარკეტინგული ინფორმაცია და კლიენტთან და პროდუქტთან დაკავშირებული ინფორმაცია), რომელიც ეკუთვნის ასეთ მხარეს, იმ ინფორმაციის გარდა, რომელიც შესაბამის დროს

ა) ცნობილია საჯაროდ ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გარეშე, რომელიც ხორციელდება ამ კონტრაქტის დარღვევით;

ბ) მიწოდებულია მიმღები მხარისთვის მესამე მხარის მიერ, რომელსაც აქვს ამის კანონიერი უფლება;

გ) ცნობილია მიმღები მხარისთვის ამ კონტრაქტის შესაბამისად გამჟღავნებამდე (როგორც განსაზღვრულია წერილობითი დოკუმენტაციით) ან

დ) დამოუკიდებლად არის შემუშავებული მიმღები მხარის მიერ ზევით აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების გარეშე;

„საათი“ ნიშნავს დღეში 60-წუთიან პერიოდს, როგორც მოითხოვს კონტექსტი;

„ინტელექტუალური საკუთრების უფლებები“ მოიცავს ყველა საავტორო უფლებას და ყველა უფლებას, რომელიც დაკავშირებულია გამოგონებებთან, რეგისტრირებულ და დაურეგისტრირებელ სავაჭრო ნიშნებთან (მათ შორის, მომსახურების ნიშნები, არსებობის შემთხვევაში), რეგისტრირებულ და დაურეგისტრირებელ პროექტებსს, ნოუ-ჰაუ, კონფიდენციალურ ინფორმაციას (მათ შორის, სავაჭრო საიდუმლოებები და ნოუ-ჰაუ) და სქემატურ პროექტებს, ასევე ყველა სხვა უფლებას, რომლებიც წარმოშობილია ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად სამრეწველო, სამეცნიერო და საავტორო სფეროებში;

„ტექნიკური მომსახურება“ ნიშნავს პრევენციულ ტექნიკურ მომსახურებას და მაკორექტირებელ ტექნიკურ მომსახურებას, საჭირო სათადარიგო ნაწილებთან ერთად, როგორც განსაზღვრულია A სქემით;

„სათადარიგო ნაწილები“ ნიშნავს ნაწილებს, რომლებიც საჭიროა პროდუქტების პრევენციული და მაკორექტირებელი ტექნიკური მომსახურებისთვის;

„საოპერაციო არეალ(ებ)ი“ ნიშნავს შემსყიდველის მიერ ნომინირებულ ადგილ(ებ)ს, სადაც უნდა განხორციელდეს მიწოდებული პროდუქტების ტექნიკური მომსახურება;

„მხარე“ ან **„მხარეები“** ნიშნავს შემსყიდველს და/ან კონტრაქტორს, როგორც მოითხოვს კონტექსტი;

„პროდუქტები“ ნიშნავს ერთი კომპლექტი საავტომობილო სტაციონალური რენტგენის სკანერის კომპლექტს, რომლებსაც ფლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - შემოსავლების სამსახური.

შემსყიდველი _____ გამყიდველი _____

REVENUE SERVICE

Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:44:28 +04'00'

პროდუქტი (მოდელი)	**რაოდენობა**	**ტიპი**
NUCTECH MB1215HS ყაზბეგი (სოფ. ფანშეტში)	1	საავტომობილო სტაციონალური რენტგენის სკანერი

„აშშ დოლარი“ ნიშნავს აშშ-ის ვალუტას.

1.2 თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ამ კონტრაქტში:

(ა) მონეტარული მითითებები წარმოადგენს აშშ-ის ვალუტაზე მითითებას;

(ბ) მუხლების სათაურები მოცემულია მხოლოდ მოსახერხებელი მითითებისთვის და არ ზღუდავს ან არ განავრცობს იმ დებულებების ენას, რომლებსაც ის ეხება;

(გ) მუხლის ნომერზე ჯვარედინი მითითება წარმოადგენს ყველა მის დებულებაზე მითითებას;

(დ) მხოლობით რიცხვში მოცემული სიტყვები გულისხმობს მრავლობით რიცხვსაც და პირიქით;

(ე) სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს პირებს, მოიცავს კორპორაციებს და პირიქით;

(ვ) სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს სქესს, გულისხმობს ყველა სქესს;

(ზ) სქემები და პირველი დანართი შეადგენს ამ კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს.

2. კონტრაქტის მასშტაბი და ვადა

2.1 ეს კონტრაქტი ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ, 2019 წლის 01 დეკემბრიდან დან და ძალაში იქნება 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

2.2 კონტრაქტორი უზრუნველყოფს შემსყიდველს პროდუქტების ტექნიკური მომსახურებით და ასეთი მომსახურებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით 2019 წლის 01 დეკემბრიდან 2022 წლის 01 დეკემბრის ჩათვლით, ამ კონტრაქტის A სქემის შესაბამისად.

2.3 კონტრაქტორი უზრუნველყოფს ტრენინგის მომსახურებას ოპერატორებისა და ინჟინრებისთვის კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში სამჯერ; ტრენინგის ადგილი და დრო განისაზღვრება შემსყიდველის მიერ 2 კვირით ადრე შეტყობინებით.

3. კონტრაქტის პირობები

კონტრაქტის პირობებია ის პირობები, რომლებიც მოცემულია: ამ დოკუმენტის 1–17 მუხლებში, A და B სქემებში და პირველ დანართში.

შემსყიდველი_____ **გამყიდველი**_____

REVENUE SERVICE

Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:44:45 +04'00'

4. მხარეების ვალდებულებები

4.1 შემსყიდველის ვალდებულებები

შემსყიდველი:

4.1.1 უზრუნველყოფს ადგილს საოპერაციო არეალში, რომელიც შესაფერისი იქნება პროდუქტების ტექნიკური მომსახურებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, იარაღების და საზომი ინსტრუმენტების შესანახად.

4.1.2 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს პროდუქტების ყველა ფუნქციის ნორმალურ მოქმედებას ამ კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღისთვის.

4.1.3 აუანაზღაურებს კონტრაქტორს მის მიერ უზრუნველყოფილი პროდუქტების ტექნიკური მომსახურების საფასურს B სქემის დებულებების შესაბამისად.

4.1.4 გაუწევს კონტრაქტორს საჭირო დახმარებას, რათა გააკეთოს განაცხადი და მიიღოს ვიზები და ყველა ლიცენზია, რომლებიც აუცილებელია მის მიერ ამ კონტრაქტის განსახორციელებლად, საჭიროების შემთხვევაში.

4.2 კონტრაქტორის ვალდებულებები

კონტრაქტორი:

4.2.1 უზრუნველყოფს შემსყიდველს პრევენციული ტექნიკური მომსახურებით, მაკორექტირებელი ტექნიკური მომსახურებით და სათადარიგო ნაწილებით ამ კონტრაქტის A სქემის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2.2 წარუდგენს შემსყიდველს საჭირო ანგარიშებს ფორმა A-1-ის, ფორმა A-2-ის და ფორმა A-3-ის მიხედვით (იხილეთ დანართი 2).

4.2.3 მიაწვდის საკუთარ თანამშრომლებს ინსტრუქციებს, რათა მათ დაიცვან მომსახურების და უსაფრთხოების ყველა ის წესი და პროცედურა, რომლებსაც ახორციელებს შემსყიდველი პერიოდულად.

4.2.4 მიიღებს ყველა მიზანშეწონილ ზომას გარემოს დასაცავად საკონტრაქტო მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით და დაიცავს ყველა გარემოსდაცვით მოქმედ კანონს, რეგულაციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებულ პრაქტიკას.

4.2.5 კონტრაქტის ხელმოწერიდან არაუმეტეს 10 (ათი) დღის ვადაში წარადგენს ამ კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების საბანკო გარანტიას, კონტრაქტის სრული ღირებულების 5%-ის ოდენობთ, რომლის მოქმედების ვადაც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს კონტრაქტის მოქმედების

შემსყიდველი _____ გამყიდველი _____

REVENUE SERVICE
Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:45:00 +04'00'

ვადას. გარდა ამისა, კონტრაქტორი პასუხისმგებელია, რომ წინასწარ და გარანტიის წარდგენამდე შეათანხმოს გარანტიის გამცემი ბანკი შემსყიდველთან.

5. კონტრაქტის ღირებულება

5.1 კონტრაქტორის მიერ უზრუნველყოფილი ტექნიკური მომსახურების და სათადარიგო ნაწილების გათვალისწინებით, როგორც განსაზღვრულია A სქემით, ამ კონტრაქტის განხორციელებისთვის შემსყიდველი აუანაზღაურებს კონტრაქტორს B სქემით განსაზღვრულ კონტრაქტის ღირებულებას ამავე სქემით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

6. გადახდა

კონტრაქტორისთვის კონტრაქტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება B სქემის შესაბამისად.

7. ტექნიკური მომსახურების სტანდარტი

კონტრაქტორი განახორციელებს პროდუქტების ტექნიკურ მომსახურებას A სქემის შესაბამისად, რათა უზრუნველყოს, რომ კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში თითოეული პროდუქტის საექსპლუატაციო მზადყოფნის კოეფიციენტი შეადგენდეს **არანაკლებ 85%**-ს.

8. ინფორმაციის გამჟღავნება, საიდუმლოება და უსაფრთხოება

8.1 ნებისმიერი მხარე არ გაუმჟღავნებს მესამე მხარეს ან არ გამოაქვეყნებს მეორე მხარის ნებისმიერ კონფიდენციალურ ინფორმაციას მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. თითოეული მხარე უზრუნველყოფს მეორე მხარის კონფიდენციალურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას მხოლოდ იმ მოსამსახურეებისა და თანამშრომლებისთვის, რომლებსაც აქვთ მისი ცოდნის პირდაპირი საჭიროება და ასევე უზრუნველყოფს, რომ მისი მოსამსახურეები და დაქირავებული პირები აიღებენ კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ იმავე ვალდებულებებს.

8.2 ამ კონტრაქტის არც ერთი მხარე მეორე მხარის აშკარა წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაუმჟღავნებს ნებისმიერ მესამე მხარეს ამ კონტრაქტის შინაარსს, მხარეებს შორის კორესპონდენციას (მათ შორის ელ.ფოსტით და ფაქსით გაგზავნილ კორესპონდენციას), დოკუმენტებს და საუბრებს, რომლებიც შეიცავს მეორე მხარის კონფიდენციალურ ინფორმაციას.

8.3 კონფიდენციალობის ვალდებულებები გააგრძელებს მოქმედებას ამ კონტრაქტის დასრულების ან შეწყვეტის შემდეგაც.

შემსყიდველი _____ **გამყიდველი** _____

REVENUE SERVICE
Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:45:19 +04'00'

9. ქვეკონტრაქტორები

კონტრაქტორს არ აქვს უფლება, რომ ეს კონტრაქტი სრულად ან ნაწილობრივ ქვეკონტრაქტით გადასცეს სხვა მხარეს შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

10. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

NUCTECH-ს აქვს და ინარჩუნებს ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლებას, რომელიც გამოყენებულია ან მატერიალიზებულია NUCTECH-ის პროდუქტში, ტექნიკურ მომსახურებაში და შესაბამის დოკუმენტებში ამ კონტრაქტთან დაკავშირებით. არაფერი ამ კონტრაქტში არ მიიჩნევა ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი უფლების კონტრაქტორისგან შემსყიდველზე გადაცემად. შემსყიდველი არ დაარღვევს კონტრაქტორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ნებისმიერი გზით.

11. კონტრაქტის დარღვევა

11.1 თუ რომელიმე მხარე ვერ ასრულებს მის მოვალეობებს ან ნებისმიერ ვალდებულებას ასრულებს არასათანადოდ და ასეთი შეუსრულებლობა ან ხარვეზი ვერ გამოსწორდება მეორე მხარის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, მხარეს, რომელსაც ვალდებულებები არ დაურღვევია, საკუთარი არჩევანის მიხედვით შეუძლია შეწყვიტოს ეს კონტრაქტი მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით.

11.2 დამრღვევი მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარის მიმართ ამ კონტრაქტის ნებისმიერი დებულების დარღვევისთვის და აუნაზღაურებს მეორე მხარეს დარღვევით გამოწვეულ ნებისმიერ დანაკარგს (მათ შორის და არა მხოლოდ, მეორე მხარის მიერ გაღებული მიზანშეწონილი სასამართლო ხარჯები, არბიტრაჟის ხარჯები და სხვა სამართლებრივი ხარჯები).

12. ფორს-მაჟორი

12.1 როგორც კონტრაქტორი, ისე შემსყიდველი არ ჩაითვლება ამ კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებების დამრღვევად, თუ ნებისმიერ მათგანს არ შეუძლია მისი ამ კონტრაქტით (ან მისი ნებისმიერი ნაწილით) განსაზღვრული მოვალეობების შესრულება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო.

12.2 „ფორს-მაჟორული მოვლენა“ არის გარემოება, რომელიც არ ექვემდებარება მხარეების კონტროლს, რომლის პრევენცია, თავიდან აცილება ან აღმოფხვრა შეუძლებელია და ნიშნავს:

12.1.1 ომს (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), საომარ მოქმედებებს, შეირაღებულ კონფლიქტს, თავდასხმას, უცხოელი მტრების მოქმედებას.

12.1.2 აჯანყებას, არეულობას, რევოლუციას, სამხედრო ან დაძაბულ მმართველობას, სამოქალაქო ომს ან ტერორისტულ აქტებს, მთავრობის ინტერვენციებს.

შემსყიდველი

გამყიდველი

REVENUE SERVICE
Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:45:35 +04'00'

12.1.3 ბუნებრივ კატასტროფებს ან მოვლენებს, მათ შორის და არა მხოლოდ, მიწისძვრებს, ჭექა-ქუხილს, წყალდიდობებს და ხანძრებს, მიწისქვეშა სპონტანურ წვას ან ბუნების ძალების ნებისმიერ მოქმედებას, რომლის წინაღმდეგაც მხარეს, რომელზედაც ხორციელდება ზემოქმედება, არ შეუძლია გონივრული სიფრთხილის ზომების მიღება.

12.3 მხარე, რომელზედაც განხორცილდება ზემოქმედება, პასუხისმგებელი არ იქნება ფორს-მაჟორის გამო მისი მოვალეობების დაგვიანებით შესრულების ან შეუსრულებლობის გამო. ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინაპირობაა, რომ ამ მხარემ მეორე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ზევით აღნიშნული მოვლენების დადგომის შესახებ და ამის შემდეგ თოთხმეტი დღის განმავლობაში მხარემ, რომელზედაც ხორციელდება ზემოქმედება, მეორე მხარეს ავიაფოსტით უნდა გაუგზავნოს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი ცნობა, რომელიც გაცემულია იმ ადგილის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, სადაც ხდება ფორს-მაჟორული მოვლენა.

12.4 თუმცა, ასეთი გარემოებების არსებობისას მხარე, რომელზედაც განხორციელდება ზემოქმედება, ვალდებულა, რომ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა განაახლოს მისი მოვალეობების შესრულება. თუ ასეთი მოვლენა გრძელდება 90 დღეზე მეტხანს, მხარეს, რომელზედაც არ ხორციელდება ზემოქმედება, უფლება აქვს, რომ გააუქმოს ეს კონტრაქტი.

13. უარყოფა და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

13.1 კონტრაქტორი პასუხისმგებელი არ არის ნებისმიერ გაუმართაობაზე, ხარვეზზე და/ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია:

13.1.1 ავტოსაგზაო შემთხვევით პროდუქტის გადაცემისას;

13.1.2 სკანირების დროს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავტომობილო სტაციონალური რენტგენის სკანერის ავტოსატრანსპორტო საშუალების ან ნებისმიერი სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალების/მანქანების შეჯახებით;

13.1.3 შემსყიდველის მიერ საოპერაციო სახელმძღვანელო მითითებების და/ან NUCTECH-ის ინსტრუქციების დარღვევით.

13.1.4 ელექტროენერგიის ან „ტელეკომის" პრობლემით ან/და ისეთ მიწოდების გამო, რომელიც ვერ უზრუნველყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - შემოსავლების სამსახურმა.

13.1.5 NUCTECH-ის დადასტურების გარეშე შემსყიდველის ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ კომპონენტების და სათადარიგო ნაწილების დაშლით, შეცვლით ან შეკეთებით.

13.1.6 შემსყიდველის მიზეზით ნებისმიერი პრევენციული ტექნიკური მომსახურების შეფერხებით ან გაუქმებით.

შემსყიდველი _____ **გამყიდველი** _____

REVENUE SERVICE Digitally signed by REVENUE SERVICE Date: 2019.12.03 18:45:50 +04'00'

13.2 ტერორიზმის ან სხვა სამხედრო შეტევის რისკის არსებობის შეთხვევაში NUCTECH-ის ტექნიკური მომსახურების ინჟინერი დატოვებს არეალს და ასეთი საფრთხის დასრულებამდე დარჩება ნებისმიერ ადგილას, რომელსაც ინჟინერი უსაფრთხოდ მიიჩნევს.

13.3 კონტრაქტორი პასუხისმგებელი არ არის ნებისმიერ გაუმართაობაზე, ხარვეზზე და/ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია:

13.4 როგორც კონტრაქტორი, ასევე შემსყიდველი პასუხისმგებლები არ არიან ნებისმიერ გაუმართაობაზე, ხარვეზზე ან/და ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლით განსაზღვრული ფორს-მაჟორით;

14. ენა

ინგლისური არის ოფიციალური ენა ამ კონტრაქტის განხორციელებისას და ამ კონტრაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი კორესპონდენცია, დოკუმენტი, სახელმძღვანელო, ინსტრუქცია, შენიშვნა და კომუნიკაცია განხორციელდება ინგლისურ ენაზე, თუ სხვაგვარად არ შეთანხმდება მხარეებს შორის წერილობით. კონტრაქტის ქართულენოვან და ინგლისურენოვან ტექსტებს შორის ნებისმიერი განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

15. დავების გადაწყვეტა

15.1 ამ კონტრაქტიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ორივე მხარეს შორის მეგობრული მოლაპარაკებების გზით.

15.2 თუ ამ კონტრაქტიდან გამომდინარე დავა ვერ გადაწყდება მეგობრული მოლაპარაკებების გზით წარმოშობიდან 10 დღის განმავლობაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. გაუმართაობები

ხარვეზის დიაგნოსტირების შემდეგ კონტრაქტორის ინჟინერი შემსყიდველს მიაწვდის წერილობით ინფორმაციას ინციდენტის მიზეზების და ხარვეზის გამოსწორების სავარაუდო ვადის შესახებ ისე, რომ შემსყიდველს შეეძლება მისი საოპერაციო საქმიანობის დაგეგმვა.

ნებისმიერი ხარვეზის არსებობისას ან დიაგნოსტირებისას კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ აღჭურვილობის გაუმართაობის დრო არ აჭარბებდეს 3 კვირას.

შემსყიდველი _____ **გამყიდველი** _____

REVENUE SERVICE
Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:46:13 +04'00'

17. ტექნიკური მომსახურების დრო და მონიტორინგი

Nuctech ყოველთვის წერილობით აცნობებს შემსყიდველს პრევენციული და მაკორექტირებელი ტექნიკური მომსახურების თარიღებს ისე, რომ შემსყიდველი შეძლებს სკანირების ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობის სათანადოდ ორგანიზებას. გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურს შეუძლია წარგზავნოს მისი ინჟინრები თითოეული ტექნიკური მომსახურების გაწევისას ინსპექციისა და მონიტორინგის მიზნით. რის დასტურადაც მხარეებმა დადეს ეს კონტრაქტი ზევით მითითებულ დღეს.

შემსყიდველისთვის და მისი სახელით

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - შემოსავლების სამსახური

ხელმოწერა: _____

REVENUE SERVICE Digitally signed by REVENUE SERVICE Date: 2019.12.03 18:46:29 +04'00'

სახელი, გვარი: გიორგი გომარელი

თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

კონტრაქტორისთვის და მისი სახელით

NUCTECH COMPANY LIMITED

ხელმოწერა: _____

სახლი, გვარი: ჩენ ზიქიანგი

თანამდებობა: „Nuctech Company Limited"-ის პრეზიდენტი

შემსყიდველი _____ გამყიდველი _____

REVENUE SERVICE Digitally signed by REVENUE SERVICE Date: 2019.12.03 18:46:56 +04'00'

სქემა A – კონტრაქტის მასშტაბი

1. შესავალი

1.1 ეს სქემა განსაზღვრავს ტექნიკური მომსახურების შეთანხმებულ მასშტაბს, რომელიც წარმოადგენს NUCTECH-ის მიერ წარმოებული 1 კომპლექტი საავტომობილო სტაციონალური რენტგენის სკანერის ტექნიკური მომსახურების შესახებ კონტრაქტის საფუძველს, რომელიც დადებულია შემსყიდველსა და კონტრაქტორს შორის. NUCTECH უზრუნველყოფს შემსყიდველს ტექნიკური მომსახურებით სამდონიანი პირამიდული სტრუქტურის მეშვეობით და აიღებს სრულ პასუხისმგებელობას პროდუქტის ტექნიკურ მომსახურებაზე.

პირამიდული სტრუქტურა შედგება:

ა) ადგილობრივი ტექნიკური სადგური: Nuctech შექმნის ტექნიკური მომსახურების ადგილობრივ სადგურს შემსყიდველის შენობებში, რათა შემსყიდველს დროულად გაუწიოს ტექნიკური მომსახურება;

ბ) ტექნიკური მომსახურების რეგიონული ცენტრი: ამ ცენტრის მეშვეობით Nuctech უზრუნველყოფს ტექნიკის მომსახურებას და სათადარიგო ნაწილებს, რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის შემსყიდველის შენობებში ტექნიკური მომსახურების ადგილობრივ სადგურებში.

გ) კლიენტის მხარდაჭერის დეპარტამენტი: Nuctech-ის კლიენტის მხარდაჭერის დეპარტამენტი, რომელიც მდებარეობს პეკინში, უზრუნველყოფს საექსპერტო ტექნიკურ მხარდაჭერას, მათ შორის, გადაუდებელ დახმარებას მიწოდებული პროდუქტების უჩვეულო გაუმართაობის/ხარვეზის დიაგნოსტირებისთვის, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებისთვის და სათადარიგო ნაწლების/იარაღების მიწოდებისთვის.

2. ტექნიკური მომსახურება

2.1 პრევენციული ტექნკური მომსახურება

კარგად დაგეგმილ პრევენციული ტექნიკურ მომსახურებას, რომელიც მოიცავს ყოველთვიურ ტექნიკურ მომსახურებას, კვარტალურ ტექნიკურ მომსახურებას, ნახევარწლიურ ტექნიკურ მომსახურებას და წლიურ ტექნიკურ მომსახურებას, შეუძლია გარკვეული პოტენციური პრობლემების თავიდან აცილება, ხარვეზების კოეფიციენტის შემცირება და პროდუქციის საექსპლუატაციო მზადყოფნის კოეფიციენტის გაზრდა.

პროდუქტის პრევენციული ტექნიკური მონახაზი იხილეთ პირველ დანართში.

შემსყიდველი _____ გამყიდველი _____

REVENUE SERVICE
Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:47:15 +04'00'

2.2 მაკორექტირებელი ტექნიკური მომსახურება

მაკორექტირებელი ტექნიკური მომსახურება განხორციელდება პროდუქტის გაუმართაობის/ხარვეზის დიაგნოსტირებისთვის და პროდუქტის ნორმალურ საოპერაციო მდგომარეობამდე აღდგენისთვის.

შესაძლებლობის ფარგლებში გაუმართაობის ვადის შესამცირებლად NUCTECH უზრუნველყოფს შემსყიდველს გადაუდებელი მომსახურებით, კერძოდ, გადაუდებელი მომსახურებით შემსყიდველის მიერ ტელეფნით, ფაქსით ან ელ.ფოსტით მოთხოვნის შემთხვევაში. NUCTECH შექმნის ცხელ ხაზს, რომლის მეშვეობითაც 24 საათის განმავლობაში შესაძლებელი იქნება შემსყიდველისთვის დიაგნოსტირებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებით პასუხის გაცემა და საჭიროების შემთხვევაში პროდუქტის საოპერაციო ადგილზე კონტრაქტორის ინჟინრის გაგზავნა რაც შეიძლება სწრაფად.

სქემა B – კონტრაქტის ღირებულება და გადახდა

1. გადახდის ვალუტა

შემსყიდველი გადაუხდის კონტრაქტორს კონტრაქტის ღირებულებას აშშ დოლარით.

2. კონტრაქტის ღირებულება

1 (ერთი) კომპლექტი საავტომობილო სტაციონალური რენტგენის სკანერის ტექნიკური მომსახურების და სათადარიგო ნაწილების მიწოდების კონტრაქტით განსაზღვრული სრული ღირებულება შეადგენს 412.992.00 აშშ დოლარს (ოთხას ცამეტი ათასი დოლარი და 00 ცენტი) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის ჩათვლით, B სქემის მე-3 მუხლში მოცემული ცხრილის შესაბამისად.

3. გადახდის ვადები

შემსყიდველი აუნაზღაურებს კონტრაქტორს კონტრაქტის ღირებულებას საბანკო გადარიცხვის მეშვეობით, მხარეებს შორის პერიოდულად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ კონტრაქტორისგან მისი მიღების თარიღიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. გადახდა განხორციელდება ქვემოთ მოცემული ფასების სქემის შესაბამისად:

შემსყიდველი _____ გამყიდველი _____

REVENUE SERVICE
Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:47:32 +04'00'

სკანერის აღწერა	სკანერების რაოდენობა	სკანერების მომსახურების ფასი ერთი თვის განმავლობაში	სკანერების მომსახურების ფასი ერთი წლის განმავლობაში	მომსახურების პერიოდი (თვეები)	სულ
NUCTECH MB1215HS ყაზბეგი (სოფ. ფანშეტში)	1 კომპლექტი	11 472.00	137,664.00	36	412 992.00
სრული ღირებულება					412 992.00

4. კონტრაქტორის საბანკო ანგარიში

გადახდა განხორციელდება საბანკო გადარიცხვის მეშვეობით შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

კონტრაქტორი:

ბენეფიციარის დასახელება: NUCTECH COMPANY LIMITED

ბენეფიციარის ბანკი: ჩინეთის ბანკი, პეკინის განყოფილება, ჰაიდიანის ქვეგანყოფილება, KE XUE CHENG ქვეოფისი

ბენეფიციარის ანგარიში: 340256023486 (აშშ დოლარში)

SWIFT კოდი: BKCHCNBJ110

ბენეფიციარის ბანკის მისამართი: NO.2 Kexueyuan Nanlu, ჰაიდიანის რაიონი, პეკინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

საფოსტო კოდი: 100190

შემსყიდველი:

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

SWIFT კოდი: TRESGE22

მიმღების ანგარიში/ხაზინის კოდი: 707019921

შემსყიდველი _____ გამყიდველი _____

REVENUE SERVICE

Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:47:51 +04'00'

დანართი 1 – პრევენციული ტექნიკური მომსახურების მონახაზი

პრევენციული ტექნიკური მომსახურების სქემა

სისტემების პრევენციულ ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით იხილეთ რენდგენული ინსპექციის სისტემის ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო.

#	საგანი	დრო	ტექნიკური მომსახურების გრაფიკი სკანერისთვის – MT1213LT												რაოდენობა
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
1	ყოველთვიური ტექნიკური მომსახურება	4 სთ.	√	√		√	√		√	√		√	√		32 სთ.
2	კვარტალური ტექნკური მომსახურება	8 სთ.			√						√				16 სთ.
3	ნახევარწლიური ტექნიკური მომსახურება	24 სთ.						√							24 სთ.
4	წლიური ტექნიკური მომსახურება	48 სთ.												√	48 სთ.
სულ (1 წელი)															120 სთ.

დანართი 2 – ტექნიკური მომსახურების ანგარიშის ფორმები

ფორმა A-1

პრევენციული ტექნიკური მომსახურების ჩანაწერი		
ფორმა N:	სისტემის ტიპი და საიდენტიფიკაციო ნომერი:	ადგილმდებარეობა:
ჩანაწერის თარიღი:	დაწყების დრო:	დასრულების დრო:
მომსახურე მუშაკი:		
მომსახურების დონე:	□ ყოველთვიური	□ კვარტალური ტექმომსახურება

შემსყიდველი_____ გამყიდველი_____

REVENUE SERVICE

Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:48:14 +04'00'

	ტექმომსახურება	
	☐ ნახევარწლიური ტექმომსახურება	☐ წლიური ტექმომსახურება
საოპერაციო ჩანაწერი/ჩანაწერი:		
საბოლოო მომხმარებლის ხელმოწერა:		

ფორმა A-2

გაუმართაობის/შეკეთების ანგარიში			
ფორმა No.			
ადგილმდებარეობა:	სისტემის ტიპი:	სისტემის ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	ანგარიშის თარიღი:
გაუმართაობის თარიღი:	გაუმართაობის დრო:	მომსახურე მუშაკი:	
გაუმართავი ქვესისტემა: გაუმართაობის არსი:			
გაუმართაობის დიაგნოსტირების პროცედურა:			

ინფორმაცია გაუმართავი/შეცვლილი ნაწილების შესახებ				
სერიული ნომერი:	დასახელება	გაუმართაობის რეჟიმი	გაუმართავი ნაწილის ნომერი:	შეცვლილი ნაწილის ნომერი:
ინფორმაცია ტექნიკური მომსახურების/შეკეთების შესახებ				
აღდგენის მდგომარეობა:				

შემსყიდველი _____ **გამყიდველი** _____

REVENUE SERVICE

Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:48:31 +04'00'

მუშაობის განახლების დრო:	შეკეთების დრო:	შეფერხება სათადარიგო ნაწილების მიღებამდე:
გაუმართაობის/შეფერხების მიზეზის ანალიზი:		
კორექტირების რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში):		
კლიენტის კომენტარი:		

ფორმა A-3

ტექნიკის მუშა მდგომარეობის ამსახველი კვარტალური სია			
ფორმა N:			
	ადგილმდებარეობა:	სისტემის ტიპი და საიდენტიფიკაციო ნომერი:	
#	სტატისტიკოსი:	თარიღი:	გაუმართაობის აღწერა
1	გაუმართაობის თარიღი:	შეკეთების დრო (სთ):	
	შეფერხების დრო (სთ):	მოცდენის დრო (სთ):	
2	გაუმართაობის თარიღი:	შეკეთების დრო d1 (სთ):	
	შეფერხების დრო (სთ):	მოცდენის დრო d2 (სთ):	
3	გაუმართაობის თარიღი:	შეკეთების დრო (სთ):	
	შეფერხების დრო (სთ):	მოცდენის დრო d3 (სთ)	
4	გაუმართაობის თარიღი:	შეკეთების დრო (სთ):	
	შეფერხების დრო (სთ):	მოცდენის დრო d4 (სთ):	
5	გაუმართაობის თარიღი:	შეკეთების დრო (სთ):	

შემსყიდველი

გამყიდველი

REVENUE SERVICE

Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:48:51 +04'00'

	შეფერხების დრო (სთ):	მოცდენის დრო d5 (სთ):	
6	გაუმართაობის თარიღი:	შეკეთების დრო (სთ):	
	შეფერხების დრო (სთ):	მოცდენის დრო d6 (სთ):	
7	გაუმართაობის თარიღი:	შეკეთების დრო (სთ):	
	შეფერხების დრო (სთ):	მოცდენის დრო d7 (სთ)	
8	გაუმართაობის თარიღი	შეკეთების დრო (სთ):	
	შეფერხების დრო (სთ):	მოცდენის დრო d8 (სთ):	

მიმდინარე კვარტალური ჯამური მუშაობის დრო R (სთ)		სტატისტიკოსის ხელმოწერა:
მოცდენის ჯამური დრო D [=∑di] (სთ):		
მიმდინარე კვარტალური საექსპლუატაციო მზადყოფნა A [=R/(R+∑di]: %		
კლიენტის კომენტარი:		

შენიშვნა:

1. გაუმართაობის თარიღი ნიშნავს დღეს, როდესაც იწყება აღნიშნული გაუმართაობა.
2. შეკეთების დრო ნიშნავს გაუმართაობის აღმოფხვრისთვის დახარჯულ საათებს.
3. შეფერხების დრო ნიშნავს საათებს, რომლებიც იხარჯება სათადარიგო ნაწილების მომზადებისთვის და/ან გაუმართაობის აღმოფხვრისთვის.
4. მოცდენის დრო („d") ნიშნავს შეკეთების დროს და შეფერხების დროს, რომელიც დაკავშირებულია i^{th} გაუმართაობასთან მიმდინარე თვეში.
5. მუშაობის ჯამური დრო („R") ნიშნავს მიმდინარე თვეში სისტემის ექსპლუატაციის ფაქტობრივ დროს.
6. საექსპლუატაციო მზადყოფნის ეს ყოველთვიური სია ეხება მხოლოდ სამუშაო დროს 9:00 საათიდან 17:00 საათამდე.

შემსყიდველი _____ გამყიდველი _____

REVENUE SERVICE Digitally signed by REVENUE SERVICE Date: 2019.12.03 18:49:09 +04'00'

რის დასტურადაც მხარეებმა დადეს ეს კონტრაქტი ზევით მითითებულ დღეს.

შემსყიდველისთვის და მისი სახელით

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური

REVENUE SERVICE

Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:49:33 +04'00'

ხელმოწერა: _____

სახელი, გვარი: გიორგი გომარელი

თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

კონტრაქტორისთვის და მისი სახელით

NUCTECH COMPANY LIMITED

ხელმოწერა: _____

სახელი: ჩენ ზიქიანგი

თანამდებობა: „Nuctech Company Limited"-ის პრეზიდენტი

შემსყიდველი _____ გამყიდველი _____

REVENUE SERVICE

Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.03 18:49:52 +04'00'